წერილის ნომერი:**49-49240876**
თარიღი: **27/03/2024**

**ადრესატი:**

არჩილი ღიბრაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

---

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ არჩილ ღიბრაძეს

ბატონო არჩილ,

განვიხილე წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, გაცნობებთ, რომ პრეამბულაში იყო ტექნიკური შეცდომა დაშვებული (შეცდომით იყო სხვა მუხლი მითითებული), რომელიც გასწორდა, შესაბამისად დადგენილება შეესაბამება კანონმდებლობას და შეგიძლიათ გაიტანოთ კომისიის სხდომაზე განსახილველად, შემდგომში ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანის მიზნით.

გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-აპარატის უფროსი

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
# G E O R G I A
# CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY



წერილის ნომერი: **48-4824086186**
თარიღი: **26/03/2024**


**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანები"-სა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"-ს სპორტსმენების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის და კვების სადღეღამისო ხარჯების დღიური ნორმის თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 მარტის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტს.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

ქ. წყალტუბო -- მარტი, 2024 წელი

**,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანები"-სა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"-ს სპორტსმენების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის და კვების სადღეღამისო ხარჯების დღიური ნორმის თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 მარტის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანები"-სა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"-ს სპორტსმენების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის და კვების სადღეღამისო ხარჯების დღიური ნორმის თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 მარტის N12 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" ვებ. გვერდი www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.122.016713. 21/03/2024) და ამ დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, ამავე კანონის 61-მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა

და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:"

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოამზადა: ნ. მჟავია

შეთანხმებულია: გ. ყურაშვილი

ვ. ნადარეიშვილი